## ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

„ფინე[illegible]“ – [illegible]

| სკოლის/ბიბლიოთეკის დასახელება | კონკურსანტის სახელი, გვარი, პოზიცია |
|---|---|
| სსიპ ქალაქ თბილისის N 126 საჯარო სკოლა | ნათია უჩავა,დაწყებითი კლასის მენტორი მასწავლებელი |

## ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე

| | |
|---|---|
| რატომ გსურთ ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში/ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა?<br>• როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას/ბიბლიოთეკას და განათლების პროცესს? | მოსწავლეები სკოლაში ხშირად ეცნობიან მხატვრულ ლიტერატურას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა ფინანსური განათლების მიღებაც. ასეთი სივრცე დაეხმარება მათ ფულის მართვისა და ფინანსური უსაფრთხოების შესახებ საბაზისო ცოდნის მიღებაში და რეალური ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარებაში.<br><br>კუთხე უზრუნველყოფს იფინანსური წიგნიერების საკითხების ეფექტურ სწავლებას. მოსწავლეებს შეეძლებათ გახდნენ ცოდნის გამავრცელებლები. გარდა ამისა, ჩემი 100,000-იანი პროფესიული აუდიტორიის ჩართულობით,ეს ინიციატივა შეიძლება გასცდეს ერთი სკოლის ფარგლებს და სხვა სკოლებისთვისაც კარგ და გამოსადეგ მოდელად იქცეს. |

„ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

| ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ | |
|---|---|
| პროექტის /აქტივობის დეტალები | ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დაიწყებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2026 წლის 20 დეკემბრამდე.<br>• შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, ციფრული პროექტები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია, საჯარო შეხვედრები ბიბლიოთეკის სივრცეში, სოციალურ ქსელებში კამპანიები და სხვ.<br>• შეგიძლიათ აღწეროთ გრძელვადიანი პროექტი, რომლის პირველ აქტივობასაც 20.12.2026-მდე ჩაატარებთ |
| მიზნობრივი სეგმენტი (მოსწავლეები მშობლები, მასწავლებლები ან სხვ) | მე-4 კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და სკოლის პერსონალი. 106,000 -ზე მეტი მასწავლებელი/მოსწავლე სოციალური ქსელის ჯგუფში. (მაქვს ფბ-ზე ჯგუფი სადაც 106ათასზე მეტი წევრია,ძირითადად მასწვალებლები/მოსწავლეები და განათლების სფეროთი დაინტერესებული პირები). |
| ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა | ადგილი: სკოლის შენობა/ეზო და Facebook ჯგუფი (100,000+ წევრი).<br>პროექტი დაყოფილია 3 ფაზად (ივნისი, ივლისი, ოქტომბერი-ნოემბერი). |
| ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება | პროექტს ვახორციელებ ინდივიდუალურად ,მასში ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები/მშობლები/ ჯგუფის „აქტივობები კლასში” წევრები სურვილის მიხედვით.<br>მოსწავლეები-მოამზადებენ და დაარიგებენ საინფორმაციო მასალებს.<br>ჯგუფის წევრები-ჩაერთვებიან როგორც აქტიური მსმენელები და დისკუსიის მონაწილეები, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ კოლეგებს |
| პროექტის/აქტივობის აღწერა (რეკომენდირებულია 500-მდე სიტყვა) (მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად რაში მდგომარეობს იდეა, როგორ უკავშირდება იგი ციფრულ განათლებასა ან/და კიბერუსაფრთხოებას, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა საკვანძო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი გრძელვადიანი თუ ერთჯერადი) | პროექტი „ფინედუ-ს ხმა: სკოლიდან ქვეყნის მასშტაბით- პროექტი მიზნად ისახავს ციფრული ფინანსური წიგნიერების პოპულარიზაციას. პროექტი უნიკალურია იმით, რომ ის იწყება ერთი კლასის ფარგლებში და სოციალური მედიის (100,000-ზე მეტი მასწავლებლის ჯგუფი) მეშვეობით აღწევს მასშტაბურ აუდიტორიას მთელი ქვეყნის მასშტაბით.<br><br>ფაზა I: „ხმა სკოლიდან“ (ივნისი, 2 კვირა) სწავლის დასრულებამდე, სკოლაში მოეწყობა „ფინედუს“ კუთხე, სადაც მე-4 კლასის მოსწავლეები „ფინედუს“ მასალებზე დაყრდნობით შექმნიან საინფორმაციო ბუკლეტებს.<br><br>თემები: აქცენტი გაკეთდება კიბერუსაფრთხოებაზე, კერძოდ: რთული პაროლების შექმნაზე, ფიშინგის ამოცნობასა და ონლაინ შოპინგის უსაფრთხოებაზე. |

| | |
|---|---|
| | აქტივობა: მოსწავლეები, როგორც „ფინედუს ხმის“ გამავრცელებლები, თავად დაარიგებენ ამ მასალებს სკოლის ეზოში, რითაც აამაღლებენ თანატოლებისა და მშობლების ცნობიერებას.<br><br>ფაზა II: „ხმა ქვეყნის მასშტაბით“ (ივლისი, ყოველკვირეული) არდადეგების პერიოდში აქცენტი გადაინაცვლებს Facebook-ჯგუფში, სადაც ყოველ კვირას გამოქვეყნდება კონკრეტული თემა:<br><br>1. პლატფორმის პოპულარიზაცია: მასწავლებლებისთვის finedu.gov.ge-ს რესურსების გაცნობა.<br>2. კიბერუსაფრთხოების კვირეული: ინფორმაცია ძირითადი ციფრული საფრთხეების შესახებ.<br>3. ბიუჯეტირება: პრაქტიკული რჩევები: „როგორ ვასწავლოთ ბავშვებს დაზოგვა ციფრული ხელსაწყოებით“.<br>4. დისკუსია: მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება და სამომავლო გეგმების დასახვა.<br><br>ფაზა III: შედეგების გაზიარება და მდგრადობა (ოქტომბერი-ნოემბერი) სასწავლო წლის დაწყების დროს ჯგუფში განთავსდება სკოლის აქტივობების ამსახველი ვიდეო/ფოტო მასალა. ეს გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას, რაც სხვა მასწავლებლებსაც მისცემს მოტივაციას, გამოიყენონ „ფინედუს“ რესურსები საკუთარ კლასებში. |
| პროექტის/აქტივობის მოსალოდნელი შედეგი<br>(მიუთითეთ როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რით შეაფასებთ პროექტის წარმატებას) | 100,000+ ინფორმირებული მასწავლებელი და გათვითცნობიერებული მოსწავლეები/მშობლები;<br>შედეგის გაზომვა მოხდება ჯგუფში პოსტების ნახვებითა და სკოლაში ჩატარებული გამოკითხვით. |

| | |
|---|---|
| დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/გრძელვადიანი პროექტის შემთხვევაში - დაწყებას | 2026 წლის 2 ივნისიდან 20 დეკემბრამდე.<br><br>ჯგუფის ბმული:https://www.facebook.com/groups/384972735509535 |